არაგვის თემთა განვითარების სტრატეგია

2020-2025

2020 წ

წინამდებარე სტრატეგია შემუშავებულია ა(ა)იპ „არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის“ მიერ, პროექტის „არაგვის თემთა მდგრადი განვითარება“ ფარგლებში, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებს ჩეხური საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია “ფიფლ ინ ნიდ”-ი. სტრატეგიის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ არაგვის თემთა განვითარების ჯგუფი. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და ხედვები შესაძლოა არ გამოხატავდეს ჩეხეთის განვითარების სააგენტოს შეხედულებებს.

შინაარსი

ტერმინთა განმარტებები ... 3
შესავალი ... 4
სტრატეგიული ხედვა და მიზნები ... 4
მეთოდოლოგია ... 5
LEADER/CLLD მიდგომის პრინციპები და ძირითადი მახასიათებლები ... 5
ინოვაცია ... 6
კოოპერაცია ... 6
არაგვის თემთა განვითარების ჯგუფი ... 6
არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის სტრუქტურა ... 7
სამოქმედო არეალი და მოსახლეობა ... 8
გეოგრაფია ... 8
დემოგრაფია ... 9
სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა ... 10
ინფრასტრუქტურა ... 11
განათლება/სპორტი ... 12
კულტურული მემკვიდრეობა ... 12
სოფლის მეურნეობა ... 14
ტურიზმი ... 15
ძირითადი გამოწვევები და განვითარების შესაძლებლობები - SWOT ანალიზი ... 16
სტრატეგიული ხედვა ... 19
სტრატეგიული მიზნები ... 20
სტრატეგიული ამოცანები ... 20
სტრატეგიის მიზნები, ამოცანები, განხორციელების გზები და შეფასების ინდიკატორები 20
სტრატეგიის შემუშავების პროცესი და მოსახლეობის ჩართულობა ... 25
კვლევები ... 25
ჩართულობა ... 26
სამოქმედო გეგმა ... 28
სტრატეგიული თანხვედრა პოლიტიკის დოკუმენტებთან ... 28
სტრატეგიის განხორციელების შესაძლო რისკების ანალიზი და მათი გავლენების შერბილების გზები ... 30
სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება ... 32
დანართები: ... 33

ტერმინთა განმარტებები

LEADER – "Liaison Entre Actions de Développement de l'Économie Rurale" სოფლის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებებს შორის კავშირი[1]

CLLD – თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარება[1]

სოფლის განვითარება - რეგიონებში (სოფლად) მცხოვრები ადამიანების ეკონომიური კეთილდღეობის და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების პროცესი, ხშირად შედარებით იზოლირებულ და ნაკლებად დასახლებულ არეალებში (Moseley, Malcolm J. (2003). *Rural development : principles and practice)*

LAG/ლაგი – Local Action Group - ადგილობრივი განვითარების ჯგუფი

Aragvi LAG – არაგვის თემთა განვითარების ჯგუფი

SWOT ანალიზი - ძლიერი, სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზი

SMART ამოცანები - კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში გაწერილი ამოცანები

შესავალი

წინამდებარე სტრატეგია შემუშავებული ა(ა)იპ „არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის“ მიერ, როგორც ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტი 2020-2025 წლებისათვის და ეყრდნობა სოფლის განვითარების LEADER/CLLD მიდგომებს.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის შედეგად წარმოჩენილი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები, ძირეულად არ ცვლის მიზნებისა და ამოცანების პრინციპებს, მაგრამ სპეციფიური სექტორული საჭიროებები გათვალისწინებული იქნება სამოქმედო გეგმის განხორციელებისას, როგორც საგრანტო კონკურსების პრიორიტეტების მეშვეობით, ასევე სხვადასხვა დამხმარე საქმიანობით სამიზნე თემებში კრიზისულ და პოსტ-კრიზისულ პერიოდში.

სტრატეგიული ხედვა და მიზნები

ფშავის, გუდამაყრისა და ხევსურეთის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება ეკონომიკური საქმიანობების განვითარებითა და ინოვაციური პრაქტიკის დანერგვის გზით

მიზანი 1. ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაციისა და განვითარების ხელშეწყობა

მიზანი 2. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება

მიზანი 3. ინოვაციური და გარემოს დაცვითი პრაქტიკის დანერგვა/ხელშეწყობა

მიზანი 4. LEADER/CLLD მიდგომის და არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის მდგრადობის უზრუნველყოფა

მეთოდოლოგია

LEADER/CLLD მიდგომის პრინციპები და ძირითადი მახასიათებლები

აკრონიმი 'LEADER' ნაწარმოებია ფრანგულიდან - "Liaison Entre Actions de Développ ement de l'Économique Rurale" და ნიშნავს „კავშირი სოფლის ეკონომიკასა და განვითარების ქმედებებს შორის". იდეა მდგომარეობს იმ ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყენებაში, რომელთაც შეუძლია ხელი შეუწყონ სოფლად განვითარების პროცესს თანამშრომლობის გზით საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორებს შორის, მუნიციპალურ დონეზე. CLLD ნაწარმოებია ინგლისურიდან - „Community-led Local Development" და ნიშნავს „თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარება". CLLD მოგვიანებით დაემატა LEADER-ს და შესაძლებლობას იძლევა ეს მიდგომა გამოყენებულ იქნას ასევე ურბანული დასახლებებისთვის და პროფესიული გაერთიანებებისთვის და რეგიონალური განვითარებისთვის მოიზიდოს მეტი რესურსი[1]. "LEADER/ CLLD" მოდგომის განხორციელების ძირითადი საშუალებაა ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG).

ევროკავშირის ქვეყნები გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან სოფლის განვითარების უზრუნველსაყოფად აქტიურად იყენებენ „LEADER" მეთოდოლოგიას, რასაც მოგვიანებით დაემატა „CLLD"-ც ურბანული დასახლებებისთვის, მას შემდეგ, რაც გამოვლინდა ამ მეთოდოლოგიის ეფექტიანობა რეგიონალური განვითარებისთვის. დღეისათვის ეს ორი კომპონენტი ერთად იგულისხმება და გამოიყენება. "LEADER/CLLD" მიდგომა გულისხმობს, რომ რეგიონების განვითარების საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უფრო ეფექტურია ადგილობრივი კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორის თანამონაწილეობისას და ასევე უფრო ნაყოფიერია მათი განხორციელების გზების ერთობლივად ძიება. ამ მიდგომამ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოფლების განვითარებაში. „LEADER/CLLD"-ს ოჯახი დღეს უკვე 2400-ზე მეტ ადგილობრივი განვითარების ჯგუფს აერთიანებს.

"LEADER/CLLD" მიდგომას გააჩნია 7 ძირითადი მახასიათებელი[2]:

- ყველა გადაწყვეტილების მიღება ხდება „ქვევიდან ზევით" პრინციპით ადგილობრივი აქტორების მიერ;
- კონკრეტულ, მცირე, ერთგვაროვან, სოციალურად შეკავშირებულ არეალზე დაყრდნობა;
- პარტნიორობა ადგილობრივ დონეზე; სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობა.
- ინტეგრირებული და მრავალსექტორული, ადგილობრივ საჭიროებებზე ორიენტირებული განვითარების სტრატეგია;
- თანამშრომლობა LEADER/CLLD ქსელების ფარგლებში;
- ინოვაციებზე ორიენტირებული იდეების და მეთოდების დანერგვა;
- თანამშრომლობა რეგიონულ, სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე.

[1] მონაცემები ეყრდნობა სოფლის განვითარების ევროპული ქსელის (EDRD) ვებ გვერდზე არსებულ მონაცემებს: https://enrd.ec.europa.eu/leader-clld/leader-toolkit/leaderclld-explained_en

[2] მონაცემები ეყრდნობა სოფლის განვითარების ევროპული ქსელის (EDRD) ვებ გვერდზე არსებულ მონაცემებს: https://enrd.ec.europa.eu/leader-clld/leader-toolkit/leaderclld-explained_en

მიდგომა „ქვევიდან -ზევით“ ნიშნავს, რომ ადგილობრივი სექტორები მონაწილეობენ სტრატეგიის შემუშავებისა და ადგილობრივი პრიორიტეტების დასახვის პროცესში, იღებენ გადაწყვეტილებებს და ამავე დროს პასუხისმგებლობას მათ შესრულებაზე. ეს მიდგომა არ უნდა განიხილებოდეს როგორც ალტერნატივა ან საწინააღმდეგო ტრადიციული მიდგომისა, ცენტრალურ და/ან რეგიონალური მთავრობის მხრიდან, არამედ უნდა მოხდეს მათი ურთიერთშერწყმა და ინტეგრირება საერთო მიზნების უკეთესად მისაღწევად.

ინოვაცია

LEADER/CLLD მიდგომის ერთ-ერთი ფუნდამენტური სტრატეგიული პრინციპი არის ინოვაციების ძიება. ძირითადი მიზანი ამ დროს არის ადგილობრივი პრობლემების გადაჭრის ახალი, მომავალზე ორიენტირებული მიდგომების წახალისება და მხარდაჭერა. ინოვაციად ჩაითვლება ნებისმიერი სიახლე თემის და სოფლის დონეზე, რომელიც ემსახურება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

კოოპერაცია

კოოპერაცია/თანამშრომლობა ასევე არის LEADER/CLLD მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რაც გულისხმობს: რეგიონული/სოფლის განვითარების გამოცდილებების გაზიარებას როგორც ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ; ერთობლივი ინიციატივების განხორციელებას; სხვადასხვა სფეროებში ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას.

არაგვის თემთა განვითარების ჯგუფი

არაგვის თემთა განვითარების ჯგუფი - წარმოადგენს ღია სამოქალაქო პლატფორმას, რომელიც დამოუკიდებელი, დემოკრატიული, არასამთავრობო, აპოლიტიკური გაერთიანებაა და არის ადგილობრივი საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის პლატფორმა;

არაგვის თემთა განვითარების ჯგუფი მოიცავს გუდამაყარს, ფშავსა და პირაქეთა ხევსურეთს. ჯგუფში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას, რომელსაც სურს ჩაერთოს სამიზნე თემების განვითარების პროცესში. ორგანიზაციის საქმიანობა სრულად არის დამყარებული მოხალისეობრივ პრინციპებზე.

გაერთიანების ყველა წევრს უფლება აქვს, იყოს ჩართული მმართველობით საქმიანობაში და მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ.

არაგვის თემთა განვითარების ჯგუფი შეიმუშავებს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას, რომელიც დაფუძნებული იქნება გუდამაყრის, ფშავისა და პირაქეთა ხევსურეთის მასშტაბით ჩატარებული კვლევების, სამუშაო ჯგუფებში მუშაობის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებსა და არსებულ პოტენციალზე.

ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრები მუშაობენ თემატურ ჯგუფებში, რომელსაც ირჩევენ საკუთარი ინტერესების და საქმიანობის სფეროს შესაბამისად:

1) ტურიზმი და/ან სხვა არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესი
2) სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი წარმოება
3) კულტურა, სპორტი, განათლება და სოციალური სერვისები და სათემო ინფრასტრუქტურა

ორგანიზაციის ძირითადი სამოქმედო პრინციპები ეყრდნობა ევროპულ გამოცდილებას LEADER/CLLD მეთოდოლოგიის მეშვეობით სოფლად განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

არაგვის თემთა განვითარების ჯგუფი ჩამოყალიბდა პროექტის „არაგვის თემთა მდგრადი განვითარება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ჩეხური საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია „People in Need“. პროექტი ხორციელდება პროგრამის „მთიანი რეგიონების და ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი განვითარება ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის მხარეებში“ ფარგლებში, რომელსაც მხარს უჭერს ჩეხეთის განვითარების სააგენტო.

2020 წლის აპრილის მდგომარეობით არაგვის თემთა განვითარების ჯგუფში გაერთიანებულია 59 წევრი, აქედან 34 მამაკაცი და 25 ქალი. ჯგუფში წარმოგდენილია საჯარო, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორები. ჯგუფმა შეიმუშავა არაგვის თემთა განვითარების 2020-2025 წლების სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც იქნება ძირითადი სამოქმედო დოკუმენტი მომავალი 5 წლისთვის. სტრატეგიით დასახული მიზნების და ამოცანების მიღწევა გაწერილია სამოქმედო გეგმით, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ # 4 დანართის სახით

ორგანიზაციის მართვის, საქმიანობის და სხვა სამართლებრივი რეგულირების პროცედურების გასაცნობად, გთხოვთ იხილოთ არაგვის განვითარების ჯგუფის წესდება (დანართი # 7);

არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის სტრუქტურა

სამოქმედო არეალი და მოსახლეობა

ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა საქსტატის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, დუშეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ მონაცემებს და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“, „საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის“ და GeoWel Research-ს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს.

გეოგრაფია

არაგვის თემთა განვითარების სტრატეგია მოიცავს რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის - გუდამაყრის, ფშავისა და პირაქეთა ხევსურეთის ტერიტორიას, რომელიც სრულად მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. იგი კავკასიონის ქედის და მისი განშტოებების ფერდობებს, მდინარეების შავი არაგვის, ფშავის არაგვის და ხევსურეთის არაგვის აუზებს მოიცავს. ადმინისტრაციული თვალსაზრისით არეალი ჟინვალის, მაღაროსკარის, ბარისახოს და გუდამაყარის ადმინისტრაციულ ერთეულებს მოიცავს, რომლებშიც 95 დასახლებული პუნქტი შედის.



გუდამაყარი ზღვის დონიდან 1050 მ-დან 2300 მ-მდე, მდინარე გუდამაყრის არაგვის ხეობაში მდებარეობს, სადაც ორასზე მცირედ მეტი ადამიანი ცხოვრობს. შავი არაგვი თვალწარმტაც მთებს შორის მიედინება. ხეობაში დაახლოებით 70-მდე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნაშთია, მათ შორის ძველი ეკლესიებისა და ციხე-სიმაგრეების ნარჩენები. **ფშავი** არაგვის ხეობაში მდებარეობს და მისი ფართობი დაახლოებით 550 კმ²-ია. ფშავს ესაზღვრება: ჩრდილო-აღმოსავლეთით - კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მას ჰყოფს თუშეთისა და პირაქეთა ხევსურეთისაგან, დასავლეთით - პირაქეთა ხევსურეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი, სამხრეთით - შიდა ქართლი, აღმოსავლეთით

- ერწო-თიანეთი. ფშავი ორად იყოფა: ფშავის არაგვის სათავიდან ორწყლამდე უკანა ფშავის თემია, ხოლო ორწყალს ქვემოთ, ფშავის არაგვის ქვემო წელში - მაღაროსკარი. სიმაღლე ზღვის დონიდან 1000-3000 მ-ია. **ხევსურეთი** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე მდებარეობს და დაახლოებით 1050 კმ² ფართობი უჭირავს. კავკასიონის ქედი ხევსურეთს ორ ნაწილად ყოფს: ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, ანუ პირიქითა ხევსურეთი და, სამხრეთ-დასავლეთის მხარე, ანუ პირაქეთა ხევსურეთი. პირიქითა ხევსურეთი შედგება: მიღმახევის, შატილის და არხოტის ხეობებისაგან, პირაქეთა - არაგვის ხეობისაგან. ზემოთ ჩამოთვლილი მდინარეთა ხეობები კი საბოლოოდ ჟინვალის წყალსაცავთან სრულდება, რომელიც დაცულ ლანდშაფტს სამხრეთიდან ესაზღვება.

სოფლები, რომლებიც უფრო მაღლა მდებარეობს, გამოირჩევა მოსახლეობის სიმჭიდროვის დაბალი მაჩვენებლით. აღნიშნულ სოფლებში მიგრაციის დონე განსაკუთრებით მაღალია, რადგან ხანდაზმულ პირებს ურჩევნიათ დაბლობში გადასვლა სამედიცინო დახმარების ხელმსაწვდომობისა და ოჯახთან სიახლოვის მიზეზით.

მაშინ როცა ფშაველები, ხევსურები და გუდამაყრელები მრავალ ასპექტში განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მათ შორის ადგილი აქვს მნიშვნელოვან კულტურულ და სოციალურ გადაფარვებს. ეს ეხება მთის დღესასწაულებს, სამზარეულოს, ფოლკლორს. უმთავრესად კი, აღსანიშნავია მიწისადმი მათი ძლიერი მიჯაჭვულობა, რაც საფუძვლად უდევს იდენტურობის ფორმირებას.

დემოგრაფია

2014 წლის აღწერის მონაცემებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის 18 ტერიტორიულ ერთეულში 333 სოფელია რეგისტრირებული. თუმცა, სამოქმედო არეალი მოიცავს მხოლოდ სამ ისტორიულ მხარეს, 5 ადმინისტრაციულ ერთეულში განაწილებული 90 სოფლით: ბარისახო (ხევსურეთის ისტორიული მხარე), გუდამაყარი (გუდამაყრის ისტორიული მხარე), მაღაროსკარი, უკანაფშავი და ჟინვალის სამი სოფელი (ყველა მათგანი ფშავის ისტორიულ მხარეს მიეკუთვნება)[3]

ისტორიული მხარე	**ადმინისტრაციული ერთეული**	**სოფლების რაოდენობა**	**მოსახლეობა**
ხევსურეთი	ბარისახო	35	340
გუდამაყარი	გუდამაყარი	22	234
ფშავი	მაღაროსკარი	17	579
ფშავი	უკანაფშავი	13	143
ფშავი	ჟინვალი	3	114

განსაკუთრებით კი გუდამაყარში, ძალზედ მცირეა მუდმივად მაცხოვრებელი ახალგაზრდების რაოდენობა. როგორც წესი, ისინი მიემგზავრებიან სასწავლებლად, შემდეგ კი რჩებიან სამუშაოდ. წინაპართა სახლ-კარს უბრუნდებიან მხოლოდ ზაფხულის პერიოდში.

[3] *საქსტატი 2014 წლის აღწერის მონაცემები*

წინამდებარე სტრატეგიით გათალისწინებული აქტივობების მხარდაჭერის შედეგად სარგებელს მიიღებს გუდამაყრის, ფშავისა და პირაქეთა ხევსურეთის მუდმივი და სეზონური მოსახლეობა მთლიანად.

სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა

მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო ტერიტორია მთიანია და მასზე ვრცელდება მთის რეგიონების განვითარების შესახებ კანონი (ე.წ. „მთის კანონი“), ამ დასახლებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია.

გუდამაყრის თემის სოფლებში მოსახლეობის რაოდენობა ძალზედ მცირეა. მთელი რაიონის მასშტაბით, მხოლოდ ერთი მოქმედი სკოლაა (სადაც ამჟამად მხოლოდ 6 მოსწავლეა), არ არსებობს ოფიციალური დასაქმების სხვა წყარო.

ხევსურეთში მრავლად არის მოშორებული სოფლები, სადაც მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ცხოვრობს, უმეტესად სეზონურად და თითქმის არანაირი აქტივობა არ შეინიშნება. თუმცა, გუდამაყრისაგან განსხვავებით, ბარისახოში შედარებით დიდი დასახლებაა, სადაც მდებარეობს სასაზღვრო პოლიციის განყოფილების ოფისი. ეს ქმნის დასაქმებისა და შემდგომი ეკონომიკური საქმიანობის მყარ შესაძლებლობას. აქ არის შედარებით დიდი ზომის სკოლა, სკოლამდელი განათლების დაწესებულება, რამდენიმე საოჯახო ტიპის სასტუმრო, 2 კაფე და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ქალთა აქტიურობას

ფშავში რამდენიმე შედარებით დიდი დასახლებაა, რომლებიც მდებარეობს ქვედა ზონაში. მათი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მდებარეობს თბილისთან ახლოს, მდინარე არაგვის მახლობლად. აქ მოქმედებს რამდენიმე მცირე ბიზნესი, მხარდაჭერილი სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოი“ ფარგლებში, რამდენიმე საოჯახო ტიპის სასტუმროს გარდა, ასევე მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. თუმცა განსხვავებული მდგომარეობაა უკანა ფშავში, რომელიც მოკლებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს, რაც გამოწვეულია ცენტრალური გზიდან დაშორებით და კომუნიკაციების საშუალებების სიმცირით.

რეგისტრირებული და მოქმედი ბიზნესების შესახებ საქსტატის მონაცემებით, სამოქმედო არეალის ტერიტორიაზე სულ 28 მცირე ბიზნესია წარმოდგენილი: 16 ფშავში, 11 ხევსურეთში და მხოლოდ 1 გუდამაყარში. ფშავსა და ხევსურეთში, ისინი თითქმის ექსკლუზიურად არიან კონცენტრირებულნი მაღაროსკარსა და ბარისახოში. ძირითადად, ეს მცირე საცალო ვაჭრობებია, მაგრამ ასევე არის რამდენიმე საოჯახო ტიპის სასტუმრო და მშენებლობასთან დაკავშირებული ბიზნესი.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ. გვერდზე განთავსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი 5,327 ადამიანია (1,768 ოჯახი) რეგისტრირებული, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 20.8%-ს შეადგენს[4], თუმცა მოსახლეობის ინფორმაციით აღნიშნული მონაცემები რეალობას მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს, რადგან რეალურად მუნიციპალილტეტში ბევრად უფრო მეტი ღარიბი მოსახლეა.

უნდა აღინიშნოს რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მერიის მიერ დაფინანსებული მხოლოდ ერთი სოციალური მომსახურება იქმნება და ხორციელდება ესაა, "უფასო სასადილო

[4] მონაცემები ეყრდნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდზე არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს. http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1445

მზრუნველობამოკლებულთათვის", რომლის მომსახურება ითვალისწინებს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ბენეფიციარების დღეში ერთჯერად უფასო კვებას, ყოველდღიურად, გარდა კვირა დღისა, თუმცა სამწუხაროდ აღნიშნული პროგრამა ვერ ფარავს დუშეთიდან მოშორებული სოფლების მაცხოვრებლებს.

მუნიციპალიტეტის სოციალური ბიუჯეტის ხოლოდ 13.3% იხარჯება უშუალოდ მომსახურების დანერგვაზე, ხოლო სოციალური ბიუჯეტის 86.7 % კი იხარჯება ერთჯერად სოციალურ გასაცემლებზე (ძირითადად ჯანდაცვის მიმართულებით)[5], რომლებიც ხანგრძლივ პერსპექტივაში ვერ აგვარებენ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს და პრობლემებს.

მუნიციპალიტეტის მერია მხოლოდ ორი სოციალური მომსახურების თანადაფინანსებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მოწყვლადი ჯგუფებისათვის. ესენია: პროექტის „საქმიანობათა ცენტრი დუშეთში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის “ და " შინ მოვლის დიაკონური სამსახური". აღნიშნული ქვე-პროგრამა დაგეგმილია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთობლივი პროექტის „საქმიანობათა ცენტრი დუშეთში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს უსაფრთხო თემების ჩამოყალიბების/განვითარების ხელშეწყობას კატასტროფების რისკის შემცირებით, ჯანდაცვასა და სოციალურ კეთილდღეობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდება სასწავლო სემინარები, ტრენინგები და სხვადასხვა სოციალური ღონისძიებები.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაგეგმილია პროექტის „შინ მოვლის დიაკონური სამსახურის“ დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ხანდაზმულ და ავადმყოფ სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის სამედიცინო უზრუნველყოფა, მოვლა და ჰიგიენა, საშინაო საქმეების მოგვარება და დემენციით დაავადებული ბენეფიციარების მოვლა.

ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, საკითხი, რომელიც ადგილობრივებს (გუდამაყრის ხეობის გარდა) განსაკუთრებით აწუხებს, არის ჟინვალისა და შატილის დამაკავშირებელი გზა. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ და დასრულდება 2020 წლის ბოლოსთვის. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის წვდომას ხევსურეთსა და ფშავზე და ხელს შეუწყობს ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერებასა და განვითარებას. რაც შეეხება მეორად და მაღლა მდებარე სოფელებთან დამაკავშირებელ გზებს, მათი ბედი ნაკლებად ნათელია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის გზების შეკეთება ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, ფინანსური სახსრების არარსებობის გამო, მნიშვნელოვანი სამუშაოები ცენტრალური ხელისუფლების მიერ არის მართული.

ამ სამ მხარეს შორის, ფშავი უმსხვილესია როგორც სოფლების, ისე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ვინაიდან ის თბილისთან ყველაზე ახლოს მდებარეობს, მისი სოფლების უმეტესი ნაწილი (უკანაფშავის გარდა) ხელმისაწვდომია მთელი წლის მანძილზე.

ტრანსპორტის თვალსაზრისით განსვხავებული მდგომარეობაა. მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება ხდება მუნიციპალიტეტის მხრიდან და ის მიზერულ ფასად ემსახურება მოსახლეობას. ეს შეიძლება ძლიერ მხარედ ჩავთვალოთ, ტრანსპორტი კვირაში ოჯერ დადის და ხალხი კმაყოფილია. ასევე სკოლის მოსწავლეებს ატარებენ სკოლაში

[5] მონაცემები ეყრდნობა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვინ ინფორმაციას, 2019 წლის 26 დეკემბრის დადგენილების თანახმად „დუშეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

სპეციალურად გამოყოფილი მანქანები. საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ ემსახურება შუაფხოს ზემოთ (ფშავში), ისევე როგორც პირაქეთა ხევსურეთის და გუდამაყრის მთავარი გზიდან მოშორებით მდებარე სოფლებს.

სამოქმედო არეალის სოფლებში არ არის ბუნებრივი აირი, ამიტომ მოსახლეობა დამოკიდებულია შეშაზე. ელექტროენერგიის თვალსაზრისით, სოფლების უმეტესობა ელექტროფიცირებულია გარდა შემდეგი სოფლებისა: ბისო, ზეისტეჩო, უკახადუ, წინხადუ, ხახმატი (ბარისახოს ტერიტორიული ერთეულისთვის), დიხჩო და ბურსაჭირი (გუდამაყრის ტერიტორიული ერთეული), ასევე შუაფხოს ზემოთ მდებარე სოფლები (უკანაფშავის ტერიტორიული ერთეული). სოფელი როშკა (ბარისახოს ტერიტორიული ერთეული) იყენებს მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურს, სხვა ადგილებში კი ადგილობრივი მოსახლეობა საჭიროების შემთხვევაში დიზელის გენერატორებზეა დამოკიდებული. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაიწყო მზის პანელების დამონტაჟება უშუქო მაღალმთიანი დასახლებების მუდმივი მაცხოვრებლებისთვის - 3კვა ოჯახზე, რამაც ნაწილობრივ მოაგვარა პრობლემა, თუმცა კვლავ დარჩა ოჯახები, რომლებიც ვერ მოხვდნენ აღნიშნულ პროგრამაში.
მობილური ქსელის დაფარვა კიდევ ერთი პრობლემური საკითხია შუაფხოს მაღლა, უკანაფშავის მთელ ხეობაში, ასევე პირაქეთა ხევსურეთის მცირე ხეობების სოფლებში, გარდა როშკისა. სამოქმედო ერთეულებში მალე ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტი; „მთიანი რეგიონების ინტერნეტიზაცია“ თუშეთიდან დაიწყო და უკვე ფარავს ხევსურეთის ნაწილს.

სამოქმედო არეალში მიმდინარეობს ინტერნეტ-ქსელის მშენებლობა, რომელიც 2019 წელს დაიწყო და 2020 წლის ზაფხულისთვის სრულად დაფარავს ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის ხეობების ტერიტორიას. ამჟამად ინტერნეტით სარგებლობს 300-მდე ოჯახი,

სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით, მთავარ სოფლებს ემსახურება ზოგადი პროფილის პრაქტიკოსი ექიმი და ექთანი. შენობები ხშირად მოძველებულია, თუმცა ზოგიერთ სოფელში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სამოქმედო არეალის სამივე თემში აქტუალურია წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პრობლემა. უმეტეს დასახლებულ პუნქტში არ არის მოწესრიგებული სასმელი წყლის საკითხი და გაუმართავია ან საერთოდ არ არსებობს კანალიზაციის სისტემა;

განათლება/სპორტი

გუდამაყარში, სოფელ კიტოხში მდებარეობს ხეობის მასშტაბით მოქმედი ერთადერთი სკოლა (6 მოსწავლე). სკოლის პანსიონი ამჟამად ცარიელია, თუმცა შესაძლოა გახდეს მნიშვნელოვანი აქტივი გარკვეული ტიპის საზოგადოებრივი პროექტებისთვის. მაღაროსკარში ასევე მოქმედებს კლუბი და სკოლა (დაახლოებით 50 მოსწავლისთვის). სკოლები მოქმედებს ჩარგალსა და შუაფხოში (დაახლოებით 10 მოსწავლე), ხოლო ხევსურეთში, სოფ. ბარისახოში არის დიდი ზომის სკოლა და პანსიონი სკოლის აღსაზრდელებისთვის. არსებული ინფორმაციით სამოქმედო არეალის ფარგლებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება მხოლოდ ბარისახოში მოქმედებს. აღნიშნულ დაწესებულებებში ასევე არის სპორტული წრეების/აქტივობების ნაკლებობის პრობლემა, მიუხედავად სპორტული ინფრასტრუქტურის არსებობისა. ბარისახოში ფუნქცინირებს ცეკვისა და ჭადრაკის წრეები.

კულტურული მემკვიდრეობა

არაგვის გეგმარებითი დაცული ლანდშაფტის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები უმთავრესად მდინარეთა ხეობებშია გაფანტული და წარმოდგენილია: ტაძრების,

ციხე-კოშკების, სამლოცველოების, სახლ-მუზეუმების და არქეოლოგიური ობიექტების სახით. ძეგლთა ნაწილი მნიშვნელოვნად დაზიანებულია და საჭიროებს რესტავრაციას.

გუდამაყრის ხეობაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან გამორჩეულია ბაკურხევში მდებარე მახვილოს ციხე და პირიმზის ფუძის ტაძარი სოფელ ჩოხში და ასევე გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმი. მახვილოს ციხე ნაგებია ნატეხი ქვითა და დუღაბით. ციხე სხვადასხვა დონეზე განლაგებული და ერთმანეთზე მიდგმული ოთხი ნაგებობისგან შედგება. ნაგებობები საკმაოდ დაზიანებულია, ჩამონგრეულია კედლების ნაწილი. რაც შეეხება სოფელ ჩოხში მდებარე გუდამაყრელთა სალოცავ პირიმზე ფუძის ანგელოზს, იგი პატარა ქვითკირის ეკლესიაა, რომელიც სიპი ქვით იყო გადახურული და ქვის ჯვარი ედგა თავზე. ეკლესიას გარს ერტყა ხატის ტყე. ჩოხის წმ. გიორგის ეკლესიაში ინახებოდა პირიმზის ხატი, რომელიც წარმოადგენდა ვერცხლით მოჭედილ და მხედრულწარწერიან ჯვარს წმინდა გიორგის გამოსახულებით.

ფშავის არაგვის ხეობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ხეობაში მდებარე მცირე ტაძრებით, კოშკებით, სამლოცველოებითა და ნამოსხლარებით არის წარმოდგენილი, ასევე გამორჩეული კულტურული ობიექტია ვაშა-ფშაველას სახლ-მუზეუმი სოფელ ჩარგალში. ფშაველებისთვის უმთავრეს სალოცავს ლაშარის ჯვარი და ღელე (თამარის სალოცავი) წარმოადგენს, ასევე უძილაურთა თემის მთავარი სალოცავი - კოპალა. ყველა ხატს თავისი საბრძანისი ადგილი აქვს (ადგილი, სადაც ღამით ხატის ანგელოზი ნათელ სვეტად ეშვება). ხატის ადგილი ჩვეულებრივ ღობე–ყორით არის შემოსაზღვრული. მისავალში ფიქალი ქვებისაგან აშენებულია პატარა სასანთლე. შორიახლოს აშენებულია ასევე საზარე, რომელშიც ერთი ან რამდენიმე სხვადასხვა ზომის ზარია დაკიდებული. ხატის შუა მოედანზე ხატის "ნიშ–საბრძანისია" განთავსებული. იქვეა ხატის "მკვრივი" ანუ ხატის საგანძურის სამალავი. ხატის ნაგებობების კომპლექსში შედის ასევე ხატის ბეღელი და სალუდე.

რაც შეეხება **ხევსურეთის არაგვის ხეობას,** აქ გარდა ძველი კოშკების, მცირე ტაძრების და ხატის სალოცავებისა კულტურული მემკვიდროების ძეგლის სტატუსი, ჯერ კიდევ შემორჩენილ საცხოვრებელ და ციხესახლებსაც აქვს მინიჭებული. თუმცა, როგორც სამოქმედო არეალში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის სხვა ძეგლები, ისინიც საკმაოდ დაზიანებულია და საჭიროებს გადაუდებელ სარესტავრაციო სამუშაოებს. არქეოლოგიური თვალსაზრისით ხევსურეთის არაგვის ხეობაში რამდენიმე ნამოსალხარია, მათ შორის აღსანიშნავია: როშკის ნასოფლარი, ფაშაურთ ახოს გორის ნასოფლარი, მაღრანის ნასოფლარი და სხვ. ბარისახოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ კორშაში, მდებარეობს ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია მე-18-19 საუკუნეების ეთნოგრაფიული მასალა: ქალისა და მამაკაცის ხევსურული სამოსი, სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, ავეჯი, ჭურჭელი, ხევსური დასტაქრების სამედიცინო იარაღი და სხვ.

არაგვის დაცული ლანდშაფტის ფარგლებში მდებარე თემები გარდა კულტურის მატერიალური ძეგლებისა ხასიათდება არამატერიალური კულტურის მნიშვნელოვანი საგანძურით. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული უძველესი ფშაური საკვები პროდუქტის - ,,დამბალხაჭო” (დამბალი ხაჭო) დამზადების ტექნოლოგიასა და კულტურას. გარდა აღნიშნულისა ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული სამოსი და ფოლკლორი ქართული არამატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. ასევე აქტიურად მიმდინარეობის მუშაობა მთის ლუდის ტექნოლოგიზე, რათა ლუდს მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

სოფლის მეურნეობა

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სამიზნე რეგიონში მეცხოველეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომლის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორებია:

- დეგრადირებული პირუტყვი;
- საძოვრების, სათიბების არასწორი მართვა და საჭირო ტექნიკის უქონლობა, არასრულფასოვანი კვება;
- დარგობრივი ცოდნის დეფიციტი;
- პროდუქტების არაორგანიზებული წარმოება;
- თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმიუწვდომლობა.

მესაქონლეობა:

ხევსურეთში, ფშავსა და გუდამაყარში მცირე ზომის ფერმერული მეურნეობების უმრავლესობა ტრადიციულად მისდევს მესაქონლეობას, თუმცა უკვე ძალზე მცირეა საოჯახო მეურნეობები, რომელთაც ჰყავთ პირუტყვი და აწარმოებენ რძის პროდუქტებს. გარდა ამისა, არსებობენ საშუალო ზომის ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ფლობენ 10-დან 70 სულამდე პირუტყვს და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი განკუთვნილია სარეალიზაციოდ. შუაფხოში აშენდა ერთი დიდი ზომის სასოფლო-სამეურნეო საწარმო. საწარმო (200 სულ ძროხაზე) შექმნილია უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციით და ჯერ არ ფუნქციონირებს. მესაქონლეობიდან მიღებულ შემოსავლებში ხვედრითი წილის მიხედვით, მთავარი მაინც არის მერძევეობა. აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში იშვიათად გვხვდება მცირე ან დიდი ზომის ფერმერული მეურნეობა, რომელიც სპეციალიზებულია მხოლოდ სახორცე მიმართულების მესაქონლეობაზე.

მეცხვარეობა:

სამივე მხარეში მეცხვარეობა ერთ-ერთ ტრადიციულ დარგად ითვლებოდა, თუმცა დღეს მხოლოდ რამდენიმე ფერმერია დაკავებულია ამ საქმიანობით, ისიც მხოლოდ მეხორცული მეცხვარეობით. ცხვარი ზაფხულში გადაჰყავთ ალპურ საძოვრებზე, ხოლო ზამთარში აზამთრებენ ბაგურად. ცხვრის გამოზამთრება ერთ-ერთ დიდ პრობლემას წარმოადგენს, რადგან მეცხვარეებს არ აქვთ გამოსაზამთრებელი ბინები და საკმარისი საკვები. ზემოთ აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, სამივე მხარეში იკარგება მეცხვარეობის ტრადიცია. თოხლის ფასი დაახლოებით 150-200 ლ-მდე მერყეობს, რეალიზაცია ხდება ადგილიდან გადამყიდველებზე ან ადგილობრივ ბაზარზე ცოცხლად. ხარისხიდან გამომდინარე პროდუქტზე მოთხოვნა მაღალია, ასევე გაიზარდა საექსპორტო ქვეყნების ჩამონათვალიც.

მეფუტკრეობა:

სამივე მხარეში მეფუტკრეობა ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგია - ფერმერები აწარმოებენ ფუტკრის პროდუქტებიდან მხოლოდ თაფლს, რომლის დიდი ნაწილის რეალიზაცია ხდება ადგილიდან. მოსახლეობას ძირითადად ჰყავს 3-დან 50-მდე ფუტკრის ოჯახი. ვხვდებით ძირითადად სტაციონალურ საფუტკრეებს, თაფლის ამოღება ხდება ივლისი-აგვისტოს პერიოდში. საჭარმოო ჯაჭვში ძირითად პრობლემას წარმოადგენს მოძველებული დაბალპროდუქტიული სკები და აღჭურვილობა, რომლითაც ხდება თაფლის დაწურვა, დამუშავება და შენახვა. იქიდან გამომდინარე, რომ სამივე მხარეში არ არიან მსხვილი მეფუტკრეები, ფუტკრის მოვლა-პატრონობას არ სჭირდება დამატებითი მუშახელი. ერთი

სკის ღირებულება ოჯახით აქ 300 ლარია, საჭირო მედიკამენტების ღირებულება 1 ოჯახზე შეადგენს საშუალოდ 12 ლარს წლიურად, დამატებითი გამოკვება, რომელიც ხორცილედება გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ძირითადად კანდითა და შაქრის სიროფით, ერთ ოჯახზე 15 ლარი ჯდება. ასევე ყოველწლიურად ხდება ხელოვნური ფიჭების ჩანაცვლება, რომლის ღირებულება 10 ლარია. ეს ის ძირითადი ხარჯებია, რომელიც ყოველწლიურად აქვთ მეფუტკრეებს. საჭირო ინვენტარსა და მედიკამენტებს ისინი თბილისის ბაზარზე იძენენ.

მეთევზეობა:

რეგიონში მეთევზეობა არაა განვითარებული, რის მიზეზადაც მოსახლეობა დარგობრივი ცოდნის დეფიციტს და ფინანსების ხელმიუწვდომლობას ასახელებს. გუდამაყარში არის ერთი მცირე საკალმახე მეურნეობა. საკალმახე მეურნეობები არის უკანფშავში და ჩარგალში, ასევე კეთდება კაწალხევში.

მეფრინველეობა:

უკანასკნელ პერიოდში მოსახლეობაში აქტუალური გახდა ფრინველის საოჯახო მეურნეობების საჭიროება, როგორც საკუთარი მოხმარებისთვის, ისე ადგილობრივ საოჯახო სასტუმროებზე რეალიზების მიზნებისთვის.

ასევე პოპულარული ხდება კურდღლის მოშენებაც.

ტურიზმი

მუნიციპალიტეტის ტურისტული პროდუქტების შესახებ ცნობადობისა და მარკეტინგის კუთხით მუშაობენ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ტუროპერატორები, თუმცა მთავარ ინტერესის ობიექტს წარმოადგენს შატილის თემი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნებიდან გამომდინარე, სამოქმედო არეალში, ბარისახოს თემში უამრავი ტურისტი სტუმრობს როშკა-აბუდელაური ჭიუხის მასივს. რაც შეეხება ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის სამოქმედო არეალს, ნაკლებია ინტერესი ტუროპერატორების მხრიდან მწირი ტურისტული შეთავაზებებისა და მომსახურების დაბალი ხარისხის გამო.

დამოუკიდებლად (შუამავლის გარეშე) მოგზაურობის დროს ტურისტები ტრანსპორტის შესახებ ძირითადად ტურიზმისა და ვიზიტორთა საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით იგებენ, ბილეთის ყიდვას კი მხოლოდ ავტოსადგურში მისვლის შემდეგ ახერხებენ, ეს გარემოება გარკვეულწილად მოქმედებს რეგიონის ვიზიტორთა რიცხვზე, ვინაიდან ისინი დაჯავშნის შესაძლებლობის არ არსებობის გამო სხვა რეგიონსა, თუ ქვეყანას არჩევენ შვებულების გასატარებლად.

სამიზნე არეალში ტურისტული მომსახურებები ძირითადად კონცენტრირებულები არიან ცენტრალურ გზაზე. კერძოდ, სათავგადასავლო ცენტრები ჟინვალის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი თვალივი), კვების ობიექტები უმეტესწილად - მაღაროსკარში, ხოლო საოჯახო სასტუმროები - სოფელ ჩარგალში, კორშაში, ბარისახოში. ტურისტული მომსახურებების კუთხით სრულიად აუთვისებელია უკანაფშავისა და გუდამაყრის ადმინისტრაციული ერთეულები. გუდამაყარის ხეობის ვიზიტორებს ძირითადად წარმოადგენენ სკოლის მოსწავლეები და სააგარაკო დამსვენებლები (ადგილობრივი სეგმენტი). არეალის განთავსების საშუალებები ძირითადად საოჯახო სასტუმროების და საკემპინგე ადგილების შეთავაზებით შემოიფარგლება, თუმცა მცირეა მათი რიცხვი და ასევე თითქმის არ არის გათვალისწინებული ტურისტული პროდუქტის დივერსიფიცირება.

საკვები ობიექტები ძირითადად წარმოდგენილია სასადილოებით, კაფეებით (გამონაკლისია რესტორანი "ხომი" ფშავში). ზოგადად, ინდუსტრიის ეს კომპონენტი მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს, რადგან გათვლილია მხოლოდ ადგილობრივ მომხმარებლებზე.

ასევე ნაკლებად არის წარმოდგენილი ადგილობრივი სამზარეულო. იშვიათად შეხვდებით ადგილს სადაც, ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე დამბალი ხაჭოს დაგემოვნებას შეძლებს ვიზიტორი.

მიუხედავად მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციებისა არ არის სტრუქტურირებული კულტურული ტურიზმის შესაძლებლობები. გუდამაყარში, ფშავში, ხევსურეთში დღემდეა შემორჩენილი დღეობები თუ სხვადასხვა რელიგიური და სახალხო დღესასწაულები, რომელთაც უფრო მასშტაბური ტურისტული დატვირთვა შეიძლება მიეცეს ადგილობრივი თემის აქტიურ ჩართულობით.

ეკოტურისტული მიმართულება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია ადგილობრივი ტურიზმის განვითარებისათვის. ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე განსავითარებელია ეკო და სათავგადასავლო ტურისტული მიმართულებები, ჯერ კიდევ არ არის დამარკული ერთიანი ეროვნული სტანდარტის მიხედვით საფეხმავლო მარშრუტები. გართობის და დამატებითი მომსახურების სფეროში ერთადერთ შეთავაზებას საჯომარდო და სათავგადასავლო ბაზები წარმოადგენს.

ძირითადი გამოწვევები და განვითარების შესაძლებლობები - SWOT ანალიზი

არაგვის თემთა განვითარების ჯგუფმა შეიმუშავა სექტორული მიმართულებებით SWOT ანალიზი, რომელსაც დაეყრდნო ქვემოთ მოყვანილი მრავალსექტორული მიდგომა.

ცალკეული სექტორული დოკუმენტები იხილეთ დანართი 4-ის სახით.

ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
• მდიდარი ეთნო-კულტურული ტრადიციები - ტრადიციული ფოლკლორი და ზეპირსიტყვიერება; ადგილობრივი არქიტექტურა (ძველი ციხე ქალაქები, კოშკები, ტრადიციული სახლები); ტრადიციული სამზარეულო; ლუდის ხარშვის ტრადიცია; ტრადიციული რელიგიური და საერო დღესასწაულები; ხალხურ ასპარეზობათა სახეობები/რიტუალები; ხალხური მედიცინის ტრადიციები; უნიკალური ტრადიციული რეწვის სახეობები; ყოფის და სათემო სამართლის ტრადიციები. • ექსტრემალური ტურიზმის ბუნებრივი რესურსები და არსებული პრაქტიკა • ხელშეუხებელი ბუნება, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ბიომრავალფეროვნება, ფლორის და ფაუნის ენდემური სახეობები, მდინარეების და მინერალური წყლების სიუხვე • ინტერნეტ კავშირის არსებობა დასახლებულ პუნქტებში	• სამშენებლო და არქიტექტიკური რეგულაციების არ არსებობა • რეგიონის ცნობადობის სიმცირე. • მოსახლების სიმცირე და სეზონური მიგრაციის მაღალი დონე • საყოფაცხოვრებო სერვისების ნაკლებობა • სუსტად განვიტარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა (საინფორმაციო საშუალებები და მიმართულების განმსაზღვრელი ნიშნები) • შესაბამისი უნარჩვევების ნაკლებობა • სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არარსებობა ყველა თემში

• თბილისთან და საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალტან სიახლოვე • კულტურული ინფრასტრუქტურა - არსებობს სამი მოქმედი მუზეუმი. • მეტ-ნაკლებად გამართული სპორტული და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა • დუშეთის მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამების განხორციელების პრაქტიკა • ეკოლოგიურად სუფთა გარემო • საზაფხულო საძოვრებზე ხელმისაწვდომობა • ტყის არამერქნული პროდუქტები • მთის რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშემწყობი პროექტები • სხვადასხვა საშეღავათო გადასახადები	• სპორტულ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურისა და წრეების სიმცირე. • საგანმანათლებლო-შემეცნებითი შესაძლებლობების სიმწირე • კულტურული ძეგლების მოვლისა და შენარჩუნების სისტემის გაუმართაობა • შეზღუდული ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე (სასწრაფო, ამბულატორია, აფთიაქი) • გაუმართავი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა • ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებზე და სხვა შემაფერხებელი ფაქტორები. • კულტურული და ტრადიციული ღონისძიებების სიმცირე. • მუნიციპალური სოციალური პროგრამების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. • სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების სიმრავლე სამიზნე თემებში. • სიახლეების დანერგვისადმი ინტერესსის ნაკლებობა • მიტოვებული სოფლების სიმრავლე • ზოგიერთ მაცხოვრებელს არ აქვს ხელმისაწვდომობა ელექტრო ენერგიაზე • სოფლებამდე მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურის არარსებობა. • სასმელი წყლის სათავე ნაგებობების და ქსელების არარსებობა. • საკანალიზაციო სისტემების არარსებობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• არსებული და ახალი ტურისტული მარშუტების მარკირება სახელმწიფო სტანდარტის დაცვით	• სტიქიური მოვლენები - წყალდიდობა, მეწყერი, მიწისძვრა, ზვავი, დიდთოვლობა და ა.შ • ადამიანის და ცხოველთა დაავადებები

• ადგილობრივ მოსახლეობაში ტურისტული პოტენციალის მქონე რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელება • ტურისტული სეზონის გაზრდა ინოვაციური სერვისებით და სპეციალური შეთავაზებებით • მრავალფეროვანი და ინოვაციური ტურისტული სერვისების შექმნა და პოპულარიზაცია • სამშენებლო არქიტექტურული რეგულაციების შემოღების მხარდაჭერა • გუდამაყარი, ფშავი და პირაქეთა ხევსურეთის ცნობადობის გაზრდა და პოპულარიზაცია • გასტრონომიული ტურიზმის პოტენციალის გამოყენება • ხელმისაწვდომობის გაზრდა ელექტრო ენერგიაზე • სოფლის მეურნეობაში პროფესიული ცოდნის ამაღლება, სპეციალისტებთან შეხვედრით და სასწავლო ვიზიტებით • ცხოველთა საკვების დამამზადებელი ტექნიკის ხელმისაწდომობის გაზრდა • სასოფლო-სამეურნეო სერვისების (ვეტმომსახურება და ა შ) ხელმისაწდომობის გაზრდა. • სოფლის მეურნეობის არსებული და ახალი დარგების განვითარების ხელშეწყობა • მებოსტნეობის, მემარცვლეობის, მივიწყებული კულტურების მოყვანის აღდგენა-გადამუშავება • მატყლის მიღება - გადამუშავება. • სოფლის მეურნეობაში ინოვაციური მიდგომების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა • ს/მ ბიოპროდუქტების წარმოება • მდიდარი ეთნო-კულტურულ და ხალხური რეწვის ტრადიციებზე დაყრდნობით ტურისტული პროდუქტების შექმნა • უნიკალური ტრადიციული რეწვის სახეობების, ფოლკლორის აღდგენა/პოპულარიზაცია. • დისტანციური სწავლების დანერგვა.	• ქიმიური საშუალებების დანერგვა სოფლის მეურნეობაში • შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების არარსებობა • მაღალმთიანი რეგიონების მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება • კულტურულ-ისტორიული ძეგლების შენარჩუნების ღონისძიებების დაგვიანება • სამიზნე ასაკობრივი ჯგუფების გადინება რეგიონიდან • არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა

• კულტურული/ტრადიციული/სპორტული /საგანმანათლებლო აქტივობების და შესაძლებლობების შექმნა. • ფესტივალების, კულტურული, ტრადიციული რელიგიური, საერო დღესასწაულების, ხალხურ ასპარეზობათა ორგანიზება და პოპულარიზაცია • პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა • კულტურულ-ისტორიული ძეგლების კონსერვაცია, აღდგენა, პოპულარიზაცია. • კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ხარისხის გაუმჯობესება, დამატებითი ღირებულების შექმნა. • სკოლამდელი აღზრდის სისტემის განვითარების ხელშეწყობა • სპორტული და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება • მოწყვლად ჯგუფებზე ორიენტირებული სერვისების და პროგრამების ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა. • ელექტრო-ენერგიაზე ხელმისაწდომობის ზრდა • ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (კანალიზაცია, სასმელი წყალი, გათბობის სისტემები) სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.	

სტრატეგიული ხედვა

ფშავის, გუდამაყრისა და ხევსურეთის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება ეკონომიკური საქმიანობების განვითარებითა და ინოვაციური პრაქტიკის დანერგვის გზით

სტრატეგიული მიზნები

მიზანი 1. ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაციისა და განვითარების ხელშეწყობა

მიზანი 2. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება

მიზანი 3. ინოვაციური და გარემოს დაცვითი პრაქტიკის დანერგვა/ხელშეწყობა

მიზანი 4. LEADER/CLLD მიდგომის და არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის მდგრადობის უზრუნველყოფა

გარემოსდაცვითი მიდგომები

წინამდებარე სტრატეგიის მიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს გარემოსგაცვითი ხედვების ნაწილი. მისი შექმნა შესაძლებელი გახდა პროგრამის - „მთიანი რეგიონების და ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი განვითარება ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის მხარეებში“ ფარგლებში, რომლის სამოქმედო არეალიც მოქცეულია დაგეგმილი დაცული ტერიტორიების საზღვრებში. შესაბამისად სტრატეგიით გათვალისწინებული ნებისმიერი საქმიანობა შესაბამისობაში უნდა იყოს დადგენილ ნორმებთან და ხელს უწყობდეს გარემოსადმი მეგობრული პრაქტიკის დანერგვას.

სტრატეგიული ამოცანები

სტრატეგიის მიზნები, ამოცანები, განხორციელების გზები და შეფასების ინდიკატორები

მიზანი 1. ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაციისა და განვითარების ხელშეწყობა	
ამოცანა 1.1 **ტურისტული პროდუქტების/ მომსახურებების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა**	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
ახალი მარშუტების და თემატური ტურისტული პაკეტების შექმნა/პოპულარიზაცია	მარკირებული საფეხმავლო ბილიკების რაოდენობა. ტუროპერატორებისთვის ჩატარებული ინფო ტურების რაოდენობა. ახალშექმნილი თემატური ტურების რაოდენობა

განსაკუთრებული თემატიკის, განსხვავებული ღამისთევის ობიექტების მხარდაჭერა	ახლადშექმნილი ან გაფართოებული ბიზნესების რაოდენობა
სათავგადასავლო, სპორტული თუ სხვა სახის ტურისტული მომსახურებების მხარდაჭერა	შექმნილი ბიზნესების რაოდენობა
კულტურული და ისტორიული ძეგლების პოპულარიზაციის გრძელვადიანი მექანიზმების მხარდაჭერა	ახალი მარშრუტების რაოდენობა
ფესტივალების კონცეფციის შემუშავება/ჩატარება, თემში არსებული ტურისტული ბიზნესების პოპულარიზაციის მიზნით	ჩატარებული ფესტივალების რაოდენობა
ტურისტული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, პროფესიული გადამზადების გზით (გიდები, სასტუმროს მეპატრონეები, მომსახურე პერსონალი...)	ჩატარებული ტრეინინგების, კონსულტაციების რაოდენობა
სასტუმროების და კვების ობიექტებში სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა;	იმ სერვისის მომწოდებლების რაოდენობა, რომლების დანერგავენ სახელმწიფო და სხვა ხარისხის სტანდარტებს
ამოცანა 1.2 **ტურიზმთან დაკავშირებული ინოვაციური მომსახურებებისა და წარმოების განვითარება/ხელშეწყობა**	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
მცირე, არასეზონური გასართობი საშუალებების მოწყობა (საციგურავო მოედანი, მცირე ზომის ატრაკციონები, ზიპ ლაინი, მცირე ზომის საბაგირო...) სეზონის გაზრდის მიზნით	შესაბამისი ახალი ობიექტების რაოდენობა
ტურიზმთან დაკავშირებული პროდუქციის წარმოება (სუვენიერები, რეწვა, ხეზე კეთა)	ახალი ბიზნესების რაოდენობა
ადგილობრივი ბრენდის შექმნა და განვითარება	ბრენდის ვებ გვერდი, გაწევრიანებული სუბიექტების რაოდენობა
ამოცანა 1.3 სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ინოვაციური და კლიმატგონივრული პრაქტიკების დანერგვა	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
პირველადი პროდუქციის, განსაკუთრებულად ინოვაციური პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა	სოფლის მეურნეობის ახალი პროდუქტების რაოდენობა. ფერმერების რაოდენობა, რომლებიც აწარმოებენ ინოვაციურ პროდუქციას.

სოფლის მეურნეობისა პროდუქტების შენახვა/გადამუშავება/დაფასოება/ბრენდირების ხელშეწყობა, სახელმწიფო რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად	ს/მ ახალი საწარმოების რაოდენობა, რომლებიც იცავენ სახელმწიფო სტანდარტებს
სხვადასხვა სასურსათო და ცხოველთა კვების პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა	ახალი საწარმოების რაოდენობა
ტყის არამერქნული პროდუქტების შენახვა/გადამუშავება/დაფასოება/ბრენდირების ხელშეწყობა, სახელმწიფო რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად	ახალი ბიზნესების რაოდენობა
სოფლის მეურნეობის ეფექტურობის გაზრდა ინოვაციური მიდგომების და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით	ჩატარებული რტაეინიგები, კონსულტაციები.
სოფლის მეურნეობის სერვისების დანერგვა/ განვითარების ხელშეწყობა (ვეტერინარია; აგრონომი და სხვა)	შექმნილი ს/მ სერვისები
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმინისა და განვითარების ხელშეწყობა	ახლადშექმნილი კოოპერატივების რაოდენობა
პროფესიული და სექტორული გრძელვადიანი საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერა	საგამნანათლებლო ინიციატივების და მათი ბენეფიციარების რაოდენობა
ბაზარზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმების მხარდაჭერა	ს/მ პროდუქციის ახალი ბაზრების რაოდენობა. თანამშრომლობის დოკუმენტები
ახალი ჯიშების და კულტურების პოპულარიზაცია	ჩატარებული შეხვედრების და მონაწილე ფერმერების რაოდენობა
სადემონსტრაციო ნაკვეთების და საწარმოების მხარდაჭერა	შექმნილი სადემონსტრაციო ნაკვეთების და საწარმოების რაოდენობა
ამოცანა 1.4 **საყოფაცხოვრებო სერვისების განვითარება/ხელშეწყობა**	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
ინოვაციური საყოფაცხოვრებო ბიზნესების მხარდაჭერა (სავაჭრო ობიექტები, ავტო-ტექ მომსახურება, ბენზინგასამართი სადგური...)	შექმნილი ბიზნესების რაოდენობა
ინოვაციური არასასოფლო-სამურნეო მომსახურებების და პროდუქტების განვითარების მხარდაჭერა	ახლადშექმნილი ინოვაციური ბიზნესების რაოდენობა
მიზანი 2. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება	
ამოცანა 2.1	

ფორმალურ ან არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომიბის მხარდაჭერა	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
აქტიური საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით, არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმირება	ინფორმირებული ადამიანების რაოდენობა
გრძელვადიანი, ინოვაციური სწავლებსი მექანიზმების მხარდაჭერა	სასწავლო პროგრამების ბენეფიციართა რაოდენობა
ამოცანა 2.2 **ტრადიციული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების და პოპულარიზაციის ხელშეწყობა**	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
ტრადიციული და საერო დღესასწაულების და ხალხურ ასპარეზობათა სახეობების აღდგენა/პოპულარიზაციის ხელშეწყობა	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა
ტრადიციული წეს-ჩვეულებების /ფოლკლორის/რეწვის/ მითოლოგიის/ხელსაქმის/მჭედლობის/ლუდის ხარშვის /ტრადიციული კულინარიის საგანმანათლებლო და პოპულარიზაციის, გრძელვადიანი საზოგადოებრივი ინიციატივების მხარდაჭერა	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა.
კულტურული ძეგლების მოვლისა და შენარჩუნების ინიციატივების მხარდაჭერა	კულტურული ძგლების მოვლა-შენარჩუნების ინიციატივების რაოდენობა
ამოცანა 2.3 **ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა და შესაბამის სახელმწიფო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა**	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
არსებული სოციალური სერვისების განვითარების მხარდაჭერა	მხარდაჭერილი ინიციატივების რაოდენობა
სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებაზე ორიენტირებული საჯარო და კერძო ინიციატივების მხარდაჭერა	ხარდაჭერილი ინიციატივების რაოდენობა
ამოცანა 2.4 **ახალგაზრდების მხარდაჭერა ეკონომიკურ საქმიანობაში**	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
ახალგაზრდების მხარდაჭერაზე მიმართული გრძელვადიანი ინიციატივების მხარდაჭერა	მხარდაჭერილი ინიციატივების რაოდენობა

მიზანი 3. ინოვაციური და გარემოს დაცვითი პრაქტიკის დანერგვა/ხელშეწყობა	
ამოცანა 3.1 **ნარჩენების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა**	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
სასმელი წყლისა და წყალარინების გარემოსადმი მეგობრული პრაქტიკების დანერგვა	სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობების რაოდენობა
საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების ადგილობრივი მართვის სისტემის მხარდაჭერა	ახალი განხორციელებული ინიციატივებისა და პროექტების რაოდენობა
დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის ინიციატივები	ერთობლივად განხორციელებული პროექტების და ინიციატივების რაოდენობა
ნარჩენების გადამუშავების ინიციატივების მხარდაჭერა	ახალი ბიზნესების და ინიციატივების რაოდენობა
ამოცანა 3.2 **რესურსების მდგრადი გამოყენებისა და გარემოს დაცვითი აქტივობების ხელშეწყობა**	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
ნიადაგის/ტყის/წლის რესურსების მდგრადი მართვის ინიციატივები	განხორციელებული აქტივობების რაოდენობა
მიზანი 4. LEADER/ CLLD მიდგომის და არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის მდგრადობის უზრუნველყოფა	
ამოცანა 4.1 **არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის სტრუქტურისა და წევრთა უნარების გაძლიერება/პროფესიური გადამზადება**	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
საგანმანათლებლო კურსების და მენტორობის მეშვეობით წევრთა გადამზადება	LAG - ის წევრთა რაოდენობა, ვინც მონაწილეობა მიიღო საგანმანათლებლო აქტივობებში
ამოცანა 4.2 **საქართველოში მოქმედ განვითარების ჯგუფებთან მჭირდო პარტნიორობა გამოცდილების გაზიარების და ერთობლივი აქტივობების განსახორციელებლად**	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
სასწავლო გაცვლითი ვიზიტები	ვიზიტების და მონაწილეთა რაოდენობა
სტრატეგიული პარტნიორობა ერთობლივი ინიციატივების განსახორციელებლად	ერთობლივი ინიციატივების და პროექტების რაოდენობა

ამოცანა 4.3 **საერთაშორისო პარტიორობის გამყარება LEADER/CLLD ჯგუფებთან, ერთობლივი აქტივობების და პროგრამების დაგეგმვა**	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
საერთაშორისო სოფლის განვითარების პლათფორმებთან თანამშრომლობა და ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება	ღონისძიებების რაოდენობა. მონაწილე ადამიანების რაოდენობა
LEADER/CLLD ჯგუფებთან პარტნიორობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება	ერთობლივი პროექტების და ინიციატივების რაოდენობა
ამოცანა 4.4 **არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა**	
განხორციელების გზები	**შეფასების ინდიკატორები**
დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მოძიება	ლაგის მიერ დამოუკიდებლად განხორციელებული პროექტების რაოდენობა
სოციალური მეწარმეობის პრინციპების შესაბამისად, ფინანსური წყაროების იდენტიფიცირება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება	ახალი სოციალური საწარმოების რაოდენობა

სტრატეგიის შემუშავების პროცესი და მოსახლეობის ჩართულობა

კვლევები

პროექტისთვის, არაგვის თემთა მდგრადი განვითარება, პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან განხორციელდა კვლევები სამიზნე თემებში:

- „საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის“ მიერ განხორციელდა კვლევა „ტურიზმის სექტორის სიტუაციური ანალიზი“_

კვლევის მიზანი იყო პროექტის სამიზნე არეალებში ბაზრის შესაძლებლობების კვლევა ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვის შეფასებისა და მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო რეკომენდაციების განსაზღვრის გზით.

განხორცელებული კვლევები ემსახურება შემდეგ ამოცანებს:

- ადგილობრივი ტურისტული სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის მდგომარეობის აღწერა და ანალიზი;

- ტურისტულ სექტორში მოღვაწე ადგილობრივი მეწარმეების საჭიროებების ანალიზი ტურისტული პროდუქტის განვითარებისა და დივერსიფიცირების კუთხით;
- რეკომენდაციების შემუშავება ადგილობრივ დონეზე ტურისტულ სექტორში მოღვაწე მეწარმეების პოტენციალის გაძლიერებისათვის.

(კვლევა სრულად - იხილეთ დანართი#1)

- ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“-ს მიერ ჩატარდა შემდეგი კვლევა: „სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის პოტენციალის კვლევა ფშავში, ხევსურეთსა და გუდამაყარში“

„ელკანას“ ექსპერტებმა 2019 წელს, 7 ოქტომბრიდან 25 დეკემბრამდე, ჩაატარეს კვლევა გუდამაყრის (ზანდუკი, გამსი, ჩოხი, კიტოხი), ფშავისა (უძილაურთა, შუაფხო, თხილიანა, ვაკისოფელი, ჭიდალი, ჩარგალი, მაღაროსკარი, ქალილო, უკანაფშავი) და ხევსურეთის (წინხადუ, კორშა, ბარისახო, გუდანი, ჭალისოფელი, ქობულო, ხახმატი, ბისო, დათვისი) სოფლებში, სადაც გამოიკითხა 60 კაცი.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა:

- საწარმოო ჯაჭვის ანალიზი მეცხოველეობაში (მერძეული და მეხორცული), მეფუტკრეობასა და მეთევზეობაში;
- ორგანული სოფლის მეურნეობის პოტენციალის შეფასება სამივე სამიზნე მხარეში;
- ინოვაციური მოდელების მოწყობის შესაძლებლობები სამივე სამიზნე მხარეში.

(კვლევა სრულად - იხილეთ დანართი #2)

- GeoWell Research-ის კვლევა, „ ანგარიში არაგვის განვითარების პოტენციალის შესახებ“ განხორციელდა სამ სამიზნე თემში: გუდამაყარი (გუდამაყრის ტერიტორიული ერთეულის ყველა სოფელი), პირაქეთა ხევსურეთი (ბარისახოს ტერიტორიული ერთეულის ყველა სოფელი) და ფშავი (მაღაროსკარისა და უკანაფშავის ტერიტორიული ერთეულების ყველა სოფელი, ასევე ჟინვალის ტერიტორიული ერთეულის სამი სოფელი).

კვლევა მიზნად ისახავდა მონაწილეობითი გზით სამიზნე თემებში განვითარების არსებული პოტენციალის შეფასებას, შედეგად, კი არაგვის LAG-ის ხელშეწყობას მეტად ეფექტური და მდგრადი საპროექტო საქმიანობის განხორციელებაში.

(კვლევა სრულად - იხილეთ დანრთი #3)

ჩართულობა

პროექტის, არაგვის თემთა მდგრადი განვითარება, ფარგლებში სამიზნე თემებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები PIN-ის თანამშრომლების მიერ. შეხვედრების მიზანი იყო, ადგილობრივი მოსახლეობისთვის პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება: ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (ლაგის) სტრუქტურის არსის, მიდგომების და მეთოდოლოგიის გაცნობა.

გარდა ამისა შეხვედრებზე განხილულ იქნა თუ რა მდგომარეობაა კონკრეტულად ამა თუ იმ სოფელში, გამომდინარე იქიდან, რომ სამიზნე თემები სხვადასხვა პრობლემების წინაშე დგანან.

საერთო ჯამში ჩატარდა 16 საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც დაესწრო 189 ადამიანი (72_ქალი; 117_კაცი; 28_ახალგაზრდა) :

- ხევსურეთი: 38 ადამიანი (14_ქალი; 24_კაცი; 5_ახალგაზრდა)
- გუდამაყარი: 17 ადამიანი (7_ქალი; 10_კაცი; 1_ახალგაზრდა)
- ფშავი: 49 ადამიანი (26_ქალი; 23_კაცი; 5_ახალგაზრდა)
- დუშეთი: 37 ადამიანი (11_ქალი; 26_კაცი; 4_ახალგაზრდა)
- თბილისი: 48 ადამიანი (14_ქალი; 34_კაცი; 13_ახალგაზრდა)

აქედან 59 (24_ქალი; 36_კაცი; 30_ახალგაზრდა) გახდა ლაგის წევრი

- ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით, არაგვის თემთა ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრებამა ჩაატარეს 9 შეხვედრა, თემატური ჯგუფების მიხედვით:

1) ტურიზმი და/ან სხვა არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესი;

2) სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი წარმოება;

3) კულტურა, სპორტი, განათლება და სოციალური სერვისები და სათემო ინფრასტრუქტურა.

შეხვედრების მიზანი იყო SWOT *(SWOT-ი ინგლისურ აბრევიატურას წარმოადგენს, რომლის ყოველი ასო ანალიზის ცალკეულ ელემენტს აღნიშნავს: S — strengths (ორგანიზაციის ძლიერი მხარე); W — weakness (ორგანიზაციის სუსტი მხარე); O — opportunities (ორგანიზაციის შესაძლებლობები); T — threats (მოსალოდნელი საფრთხე). SWOT-ანალიზის გაკეთების დროს განიხილება ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე ის შესაძლებლობები და საშიშროებები, რომლებიც ორგანიზაციის წინაშე დგას. SWOT-ანალიზის ჩატარება მოითხოვს ორგანიზაციის სუსტი და ძლიერი მხარეების, ასევე მისი გარემოს გულწრფელ ანალიზს)*

ანალიზის გაკეთება და სამიზნე თემების წარმომადგენლების მიერ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა.

SWOT ანალიზის შექმნის პროცესში მონაწილეობა მიიღო სამივე თემის (გუდამაყარი, ფშავი, პირაქეთა ხევსურეთი) 63 წარმომადგენელმა (38_კაცი; 25_ქალი; 29_(18-30 წლამდე) ახალგაზრდა)

სამუშაო პროცესის დროს თემატური ჯგუფები განიხილავდნენ გუდამაყრის, ფშავისა და პირაქეთა ხევსურეთის ძლიერ და სუსტ მხარეებსა და შესაძლებლობებს, ასევე გაკეთდა რისკების ანალიზიც.

სხვადასხვა თემატური ჯგუფის საჭიროებებზე დაყრდნობით, მივიღეთ პრიორიტეტული საკითხები, რომელებიც გაერთიანდა და იქცა ერთიან დოკუმენტად.

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესახებ ფართო მოსახლეობის უკუკავშირის კვლევა განხორციელდა ინტერნეტ ტექნოლოგიების მეშვეობით.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ბარისახოს, გუდამაყრის, უკანაფშავის, მაღაროსკარის, ჟინვალის ადმინისტრაციული ერთეულის 63-მა წარმომადგენელმა, აქედან 58,7% არის ქალი, ხოლო 41,3%_კაცი;

50,8% 16 დან 29 წლამდე ახალგაზრდა, ხოლო 49,2 30 წლის და მეტის;

გამოკითხულთა 61,9%-ს აქვს მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებლის სტატუსი;

სექტორების მიხედვით პროცენტული მაჩვენებელი: 27% საჯარო; 20,6% სამოქალაქო და

52,4% ბიზნესი

სამოქმედო გეგმა

სტრატეგიის ამოცანების მისაღწევად შემუშავდა დეატლური სამოქმედო გეგმა, მათ შორის გამოიკვეთა სხვადასხვა სატრუქტურებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიმართულებები. გარკეული მიზნების მიღწევას „ფიფლ ინ ნიდ"-ის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საგრანტო კონკურსებიც შეუწყობს ხელს.

სტრატეგიის განხორციელების სრული სამოქმედო გეგმა - იხილეთ დანართი#5 ის სახით.

სტრატეგიული თანხვედრა პოლიტიკის დოკუმენტებთან

- LAG-ის მიერ შემუშავებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგია თავსებადია ქვემოთ ჩამოთვლილ ეროვნულ და რეგიონულ სტრატეგიებთან:
    - მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2015-2021 წლებისთვის
    - საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021
    - საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020
    - მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წ.წ. სამოქმედო გეგმა
    - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია

1. **მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2015-2021 წლებისთვის**
    - რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;
    - სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
    - გარემოსა და ეკოლოგიური ბალანსის დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება;
    - რეგიონში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
2. **საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021**

- **ღონისძიება1.4.** ენერგო-ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის გაფართოება
- **ღონისძიება1.6.** წყალმომარაგების, წყალარინების და ნარჩენების მართვის

ინფრასტრუქტურის განვითარება

- **ღონისძიება1.7.** კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია
- **ღონისძიება 2.1.** საწარმოების, მათ შორის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა
- **ღონისძიება 2.2.** ინოვაციების მხარდაჭერა
- **ღონისძიება 2.3.** სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა: ტურიზმი
- **ღონისძიება 2.4.** სტრატეგიული სექტორების მხარდაჭერა - სოფლის მეურნეობა
- **ღონისძიება 3.1.** ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა
- **ღონისძიება 3.2**. პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება
- **ღონისძიება 3.3.** უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდა
- **ღონისძიება 3.5.** შრომის ბაზრისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა
- **ღონისძიება 3.6**. მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა

(https://mrdi.gov.ge/)

3. **მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წ.წ. სამოქმედო გეგმა**
    - 1.1.2. ტურისტული სერვისების განვითარება
    - 1.2.1. ფერმერული მეურნეობისა და კოოპერატივების მხარდაჭერა
    - 1.3.1. მცირე, საშუალო და მიკრო ბიზნესის ხელშეწყობა და მეწარმეთა საჭიროებებზე ორიენტირებული საინვესტიციო პროგრამების შემუშავება
    - 1.3.2. სამეწარმეო უნარების ასამაღლებლად შესაძლებლობების შექმნა და დასაქმების ხელშეწყობა
    - 1.3.3. ტყის რესურსის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა
    - 2.2.2. განათლების სერვისების ხელმისაწვდომობა
    - 2.5.2. არაფორმალური განათლების აქტივობები ახალგაზრდებისთვის
    - 2.6.2. კულტურული ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწყობა/მშნებლობა

http://www.parliament.ge/

4. **საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია**

- ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა;
- სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება;
- სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება.
- ენერგო-ეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა;

(https://mepa.gov.ge/)

Covid-19 -ის პანდემიასთან დაკავშირებული მდგომარეობის გამო, არაგვის თემთა განვითარების ჯგუფი ვერ მოახერხებს 2020 წელს იმუშავოს ყველა სტრატეგიული ამოცანის განხორციელებაზე. ამიტომ, მიმდინარე წელს სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იქნება ის სფეროები და აქტივობები, რომლებიც უპასუხებენ კრიზისული და პოსტ-კრიზისული სიტუაციის საჭიროებებს და შესაბამისობაში იქნებიან ახალ რეალობასთან.

სტრატეგიის განხორციელების შესაძლო რისკების ანალიზი და მათი გავლენების შერბილების გზები

გარეშე რისკები				
რისკის აღწერა	**რეალიზების ალბათობა**	**ზეგავლენის დონე**	**პრევენციული ზომები**	**შემარბილებელი, მაკორექტირებელი ზომები**
პოლიტიკური ფაქტორები				
LEADER/CLLD მიდგომისადმი დამოკიდებულების გაუარესება, ცვლილებები არამომგებიანი საქმიანობის კანონმდებლობაში	დაბალი	ძლიერი	მჭიდრო თანამშრომლობა გადაწყეტილების მიმღებ სტრუქ ტურებთან და პარტნიორებ თან, პოტენციური ცვლილებების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად	სტრატეგიის/ სამოქმედო გეგმის გადახედვა
მაღალმთიანი რეგიონების მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება	დაბალი	საშუალო	აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობაგადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტრუქტურებთან ყველა დონეზე,მოსახლეობის ინფორმირება და წახალისება,არსებულ სახელმწიფო პროგრამების ჩართულობისთვის.	სტრატეგიული პრიორიტეტებ ის რევიზია.
ეკონომიკური ფაქტორები				
Covid-19-ისგან გამოწვეული ეკონომიკური რეცესია	მაღალი	ძლიერი	ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიცირების	სტრატეგიის ადაპტირება,

ტურიზმის და მომსახურების სფეროში.			ხელშეწყობა,შიდა ტურიზმის პოტენციალის გამოყენება	მაგალითად თანადაფინანსების ოდენობის შეცვლა ან პრიორიტეტების რევიზია
ზოგადი ეკონომიური რეცესია სოფლის მეურნეობასა და წარმოება-გადამამუშავებელ სექტორებში.	მაღალი	ძლიერი	განვითარების სხვადასხვა სცენარების წინასწარგანჭვრეტა, მოქნილობა	
სოციალური ფაქტორები				
საყოფაცხოვრებო პირობების არათანაბარი გაუმჯობესება ფშავ-ხევსურეთ-გუდამაყრის ტერიტორიაზე	საშუალო	საშუალო	ადგილობრივი სპეციფიური რესურსების გამოვლენა, სამოქმედო გეგმის რეგულარული ანალიზი, სამიზნე თემებში აქტივობების თანაბრად გადანაწილება.	ინფორმაციის ეფექტური მიწოდება, დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობა.

შიდა რისკები

რისკის აღწერა	**რეალიზების ალბათობა**	**ზეგავენის დონე**	**პრევენციული ზომები**	**შემარბილებელი, მაკორექტირებელი ზომები**
კულტურულ-ისტორიული ძეგლების შენარჩუნების ღონისძიებების დაგვიანება	მაღალი	საშუალო	პრო-აქტიული კომუნიკაცია და თანამშრომლობა გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტრუქტურებთან ყველა დონეზე.	ადვოკატირების კამპანიის წარმოება, ფართო საზოგადოებისა და ტურისტული სერვის პროვაიედრების ჩართვით.
სამიზნე ასაკობრივი ჯგუფების გადინება რეგიონიდან	მაღალი	ძლიერი	მიგრაციის რისკის მქონე ჯგუფების საჭიროებების დადგენა და საპასუხო ხონისძიებები.	მიგრაციის მიზეზების კვლევა, სხვადასხვა ღონისძიებების მხარდაჭერა,სეზონური დაბრუნების უზრუნველსაყოფად.
ქიმიური საშუალებების ფართო გავრცელება სოფლის მეურნეობაში	საშუალო	საშუალო	ბიოლოგიური და ორგანული სოფლის მეურნეობის პოპულარიზაცია.ორგანული სოფლის პროდუქტების პოპულარიზაცია.	ცოდნის მიწოდება, ქიმიური საშუალებების გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით

სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ზვავი, წყალდიდობა	საშუალო	საშუალო	მაღალი რისკის ზონების გამოვლენა,მოსახლეობის იფორმირება,რეაგირებისათვის შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობა	სამოქმედო გეგმაში,ცვლილებების შეტანა
დიდთოვლობით გამოწვეული შეფერხებები და გზების ჩაკეტვა	საშუალო	ძლიერი	მაღალი რისკის ზონების გამოვლენა,მოსახლეობის იფორმირება,რეაგირებისათვის შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობა.სამოქმედო გეგმის მორგება.	სამოქმედო გეგმის რევიზია
ადგილობრივი განვითარების ჯგუფის არაეფექტური მუშაობა და წევრების ნაკლები ჩართულობა.	საშუალო	ძლიერი	ორგანიზაციული გაძლიერება, როლების გადანაწილება. მაქსიმალურად გამჭვირვალე საქმიანობა და მოსახლეობის ჩართულობა.	ახალი წევრების მოზიდვის კამპანიები,მმართველობითი სისტემის რეორგანიზაცია.

სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება

წინამდებარე სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების მიღწევის და შედეგების ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით, მოხდება მისი განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება; ამ პროცესის მიზანს წარმოადგენს სტრატეგიის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების (ასეთის არსებობის შენთხვევაში) იდენტიფიცირება, რაც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ დროული რეაგირება და საჭიოების შემთხვევაში, შევიტანოთ შესაბამისი ცვლილებები დოკუმენტში.

მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტის ფარგლებში, ერთის მხრივ, განისაზღვრება სტრატეგიით გათვალისწინებული ინტერვენციების ეფექტიანობა, მეორეს მხრივ - არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის (LAG) ეფექტური ფუნქციონირების საკითხები და მისი განვითარების შესაძლებლობები.

სტრატეგიის განხორცილების მონიტორინგს და შეფასებას განახორციელებს არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის მონიტორინგისა და შეფასების ქვეჯგუფი, მონიტორინგისა და შეფასების წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით.

მონიტორინგი განხორციელდება ყოველ 6 თვეში ერთხელ, რის შედეგადაც ქვეჯგუფი მოამზადებს შესაბამის ანგარიშებს, რომლებსაც მოისმენს მმართველი საბჭო და საჭიროების შემთხვევაში მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

შეფასება მოხდება ორ ეტაპად: გენერალური ანსამბლეის მხრიდან სტრატეგიის დოკუმენტის დამტკიცებიდან 1 წლის შემდეგ და 2023 წელს. მონიტორინგისა და შეფასების მიზნით ინფორმაციის შეგროვება მოხდება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევებით, როგორც LAG-ში არსებული ადამიანური რესურსით, ასევე, შესაძლებლობის შემთხვევაში, დაქირავებული კონსულტანტების დახმარებით.

დანართები:

დანართი 1 - ტურიზმის სექტორის სიტუაციური ანალიზი;

დანართი 2 - სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის პოტენციალის კვლევა ფშავში, ხევსურეთსა და გუდამაყარში;

დანართი 3 - ანგარიში არაგვის თემთა განვითარების პოტენციალის შესახებ;

დანართი 4 - სექტორული SWOT ანალიზის დოკუმენტები

დანართი 5 - სტრატეგიის სამოქმედო გეგმა

დანართი 6 - მონიტორინგისა და შეფასების გეგმა;

დანართი 7 - საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელო

დანართი 8 - არაგვის განვითარების ჯგუფის წესდება